

R 3.104  
—

ଅଗନ୍ତୁ ମହାମାତ୍ରିକା

# ଜୀବନାନ୍ଦ ପ୍ରକାଶନ୍ତର

ଅଧିକାରୀ—1942

გორის მხარეთა მოდელების მუზეუმი

სერგი გაკალათია

ვაცწანგ გორგასლანი

K 3.104  
—  
1



თბილისი

1942 წ.

მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,  
 ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?  
 ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,  
 მზად არს საომრად სახე-შერისხვით!  
 ეს არის გმირი ის გორგ-ასლანი,  
 რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდენ,  
 მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,  
 მტერთა შელეჭდნენ და შემუსვრიდენ!

გრ. ორბელიანი—(„სადლეგრძელო“).

სპეც-2000  
შემოწმებულია



ვახტანგ გორგასლანი

လျှပ်စာ၏ ရာရိယဉ်တေသန ကုမ္ပဏီ၊ တပ်မြေး၏ ရွှေ့ချေးလုပ်မာန် ဖြစ်ပေါ်စွာ လျှပ်စာ၏ ပုဂ္ဂန်များ



## ჭახტანგ გორგასლანი

საქართველოს ისტორიის გმირულ წარსულიდან პირველი ადგილი უჭირავს ვახტანგ გორგას ლანს. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საუკუნეში, მაგრამ მისი ხსოვნა ქართველ ხალხში ჯერ კიდევ არ გამქრალა, განსაკუთრებით მთიელებში, რომლებმაც დღემდის შემოინახეს ამ მეფის შესახებ ლეგენდები, თქმულებები და ლექსები.

ქართული გმირული ეპოსის ერთი ნაწყვეტი მას ასე ახასიათებს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
 ციდან ჩამოესმა რეკა;  
 იალბუზზედ ფეხი შესდგა,  
 დიდმა მთებმა იწყეს დრეკა;  
 ოსეთში გადაიარა,  
 ჩერქეზები გადარეკა“-ო.

ასეთივე ბუმბერაზად არის იგი წარმოდგენილი ქართულ საისტორიო წყაროებშიც. „ქართლის

  
ცხოვრების“ მთელი ერთი დიდი თავი წარმოადგენს ვახტანგის გმირობის აღწერილობას. მემტიანე მას უწოდებს „გორგ-ასლანს“, რაც ნიშნავს მგელ-ლომს, ე. ი. ლომივით გულოვანსა და მგელივით მუხლ მაგარს.

ამ ეპითეტით შეაფასა ისტორიამ მისი თავგანწირული ბრძოლები ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასაცავად.

ეს ოვაწლი უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი იქნება, თუ ჩვენ მოკლედ გავეცნობით იმ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ გარემოს, რომელშიაც ვახტანგ გორგასლანს მოუხდა მოქმედება და თავ-დადებული ბრძოლების წარმოება.

ეს იყო ის პერიოდი, როდესაც რომსა და ირანს შორის სწარმოებლა გამწვავებული ბრძოლები ამიერკავკასიის ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლის ერთ-ერთ ასპარეზად ჩქარა გადაიქცა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ორი პატარა სამეფო: ლაზიკა (დასავლეთი საქართველო) და იბერია (აღმოსავლეთი საქართველო).

რომსა და ირანს შორის პოლიტიკური ურთიერთობა უფრო გამწვავდა, როდესაც ირანის სამეფოს სათავეში მოექცნენ სასანიანთა გვარის მეფები. 224 წელს ამ საგვარეულოს პირველმა მეფემ

არტაშირმა უარჰყო ელინისტური რწმენა და  
კულტურა, სამაგიეროდ განაახლა ძველი პართუ-  
ლი ეროვნული ლელიგია, ზარატუშტრის მოძღ-  
ვრება, რომელიც ცეცხლას თაყვანისცემაზე იყო  
დაფუძნებული და ითვლებოდა ირანელების ეროვ-  
ნულ სარწმუნოებად.

ცეცხლთაყვანისცემა, ანუ მაზდეიანობა მზის (სი-  
ნათლის), დედამიწისა, ცეცხლისა და წყლის გაღ-  
მერთებაზე იყო დამყარებული. ეს ოთხი სტიქიონი  
წმინდად ითვლებოდა, მათი შეხება და შებღალვა  
არ შეიძლებოდა. მაზდეიანების წარმოდგენით ადა-  
მიანის სული ითვლებოდა წმინდა ძალად, სხეული  
კი უწმინდურად და ამიტომ ცეცხლთაყვანისმცე-  
მლები მიცვალებულებს მიწაში არ მარხავ-  
დნენ, რომ დედამიწის სიწმინდე არ შეებღალათ,  
არამედ ჰკიდებდნენ ხეებზე, ან საგანგებოდ ნა-  
გებ კოშკებზე ათავსებდნენ.

ცეცხლი, როგორც წმინდა სტიქიონი, თითოეულ  
კეთილმორწმუნე მაზდეიანის სახლში უნდა ნთე-  
ბულიყო და მისი ჩაქრობა დიდ ცოდვად და ბო-  
როტებად ითვლებოდა. მაზდეიანებს ჰყავდათ  
მღვდელ-მსახურიც, რომლებსაც უწოდებდნენ  
„მოგვებს“, ხოლო მოგვების მღვდელმთავარს მო-  
ბედან-მობედანი (მოგვთა-მოგვი) ერქვა.

ამავე არტაშირმა მოახდინა თავის სახელმწიფოს  
 შინაგანი რეფორმები, შექმნა ძლიერი მხედრობა  
 და დაიწყო აქტიური პოლიტიკის წარმოება რომის  
 იმპერიის წინააღმდეგ მცირე აზისა და ამიერ-  
 კავკასიის დასაპყრობად. სასანიდები ახლა მიზნად  
 ისახავდნენ მოესპოთ რომაელთა ბატონობა იბე-  
 რია-ლაზიკაში და შემოემტკიცებინათ შავი ზღვას  
 სანაპიროები, საიდანაც რომი საფრთხეს უმზადებ-  
 და ირანს და მასზე მიმავალ ინდოეთის სავაჭრო  
 გზას.

ამის გამო სასანიანთ მეფეებმა პირველ რიგში  
 შემოტევა დაიწყეს იბერიაზე, როგორც მახლო-  
 ბელ და მოსაზღვრე ქვეყანაზე და ცდილობდნენ  
 იბერია გამოეგლიჭათ რომის ბატონობიდან. ამ  
 პოლიტიკური სასიათის ბრძოლას ამწვავებდა რე-  
 ლიგიური ანტაგონიზმიც, რაც გამოიხატებოდა მაზ-  
 დეიანობასა (ცეცხლთაყვანისმცემლობასა) და  
 ქრისტიანულ მოძღვრებათა შორის პირველობი-  
 სათვის მეტოქეობაში იბერიასა და ლაზიკის სა-  
 მეფოში.

ირანის შაჰები თავიდანვე ცდილობდნენ, რომ  
 იბერია-ლაზიკაში მოსახლეობა პყოლოდათ თა-  
 ვიანთ პოლიტიკურ-რელიგიურ გავლენაში და ამის  
 გამო მათში მედგრად ავრცელებდნენ მაზდეიანურ

რწმენას. იბერიაში ცეცხლისთაყვანისცემის ცენტრად ითვლებოდა მცხეთა, საღაც ენთო ცეცხლის გაუქრობელი კოცონი და მაზდეიანთა მოგვები ასრულებდნენ საღმრთო ცერემონიალს.

წარმართულ საქართველოში, საღაც მზისა და მთვარის თაყვანისცემა იყო გავრცელებული, მაზდეიანური რწმენა, როგორც უფრო მაღალი და რთული მოძღვრების შემცველი ვრცელდებოდა საზოგადოების მაღალ ფენაში, განსაკუთრებით სამეფო გვარეულობაში. ამ რწმენის მიღებით, თუ თანაგრძნობით განისაზღვრებოდა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც. ამის გამო ირანი თავგამოდებით იბრძოდა, რათა იბერიაში განემტკიცებინა მაზდეიანური რწმენა.

იბერიის სატახტო ქალაქ მცხეთაში, არმაზის ხევში აღმართული იყო მაზდეიანური ღმერთების კერპები: არ მაზი, (აჭურა-მაზდა) და ზადენი, რომლებსაც თაყვანსა სცემდნენ იბერიის მოსახლეობა. მაზდეიანურ რწმენასთან იბერიაში ვრცელდებოდა ირანული ადათები და ზნე-ჩვეულებანი.

ამავე დროს რომის ბატონობასთან დაკავშირებით იბერია-ლაზიკაში ზაიწყო ახალი სარწმუნოებრივი მოძღვრების — ქრისტიანობის გავრცელება. ქრისტიანობა დასავლეთის რწმენითა და მსოფლი

მხედველობით იყო გაუღენთილა. იგი ემსახურებოდა რომის იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკას, ამიტომ ქრისტიანობის გავრცელება იბერია-ლაზიკაში საფრთხეს უმზადებდა ირანულ მაზდეიანობას. ეს იყო მიზეზი, რომ ქრისტიანობის გავრცელებას აქ ძლიერ მეტოქეობას უწევდა ფეხმომაგრებული მაზდეიანობა. მხოლოდ ნიზიბინის 298 წლის ხელშეკრულების შემდეგ, როდესაც იბერია დარჩა რომს, შესაძლებელი შეიქმნა აქ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარება და 337 წელს იბერიის სამეფო გაქრისტიანდა.

ქრისტიანობის დამყარებას იბერიაში ჰქონდა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ახალი მოძღვრების განმტკიცებასთან იბერიის პატარა სამეფო სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურად მჭიდროდ უკავშირდება რომსა და საბერძნეთის იდეოლოგიურ-ფილოსოფიურ მოძრაობას. იქმნება ახალი მსოფლმხედველობა და მორალი, ჩნდება ქართული დამწერლობა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველური ტომების კულტურულ-ეროვნულ აღორძინებას და სხვა.

საქართველოში ქრისტიანობის დამყარება ნიშნავდა რომის პოლიტიკური ბატონობის გაძლიერებას. ირანის შაჰები ამას კარგად ხედავდნენ და

ისინი ყოველგვარ ხერხებს ხმარობდნენ, რომ თავიანთი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური გავლენა იბერიაში როგორმე შეენარჩუნებინათ. ამის გამო ირანის საზრუნავი საქმე ახლა ის იყო, რომ იბერიაში ქრისტიანობა აღმოეფხვრა და გაევრცელებინა მაზდეიანობა.

ამ მიზნის განხორციელებას შეუდგა ირანის შაჰი ი ე ზ დ ი გ ე რ დ II (438 — 457 წ.), რისთვისაც მან მიმართა შემდეგ ხერხს: იბერიაში, სომხეთში და ალბანიაში (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია) დაგზავნა ბრძანების წერილები და სამივე ქვეყნიდან დაიბარა მოწინავე გვარის კაცები. ამის შედეგად იბერიიდან ირანს წასულან დიდგვარა-ანი მამასახლისები და ქართლის პიტიახში<sup>1</sup> არ-შუ შ. ა. როდესაც ისინი იეზდიგერთან მივიღნენ, შაჰმა განუცხადა, რათა მათ ხელი აეღოთ ქრისტიანობაზე და მიეღოთ ცეცხლთაყვანისმცემლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამუქრებია მათ განადგურებით.

დაპატიმრებულ ქართველ თავკაცებს ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ თანხმობა გამოუცხადებიათ და

<sup>1</sup> პიტიახში სპარსული სამოხელეო სახელი იყო და ერქვა ჰერთის (კახეთის) მმართველს. ეს თანამდებობა ქართლშიაც იყო.

შაპის თვალის ასახვევად მოჩვენებით მიუღიათ  
მაზდეიანობა.

ამის შემდეგ შაპის ისინი გაანთავისუფლა და  
თან გააყოლა მოგვები, რომლებსაც მათ ქვეყანა-  
ში უნდა გაევრცელებინათ მაზდეიანობა. ერთ-  
გულების ნიშნად შაპის მათ მძევლებიც ჩამოარ-  
თვა, მხოლოდ იბერიის პიტიახში არშუშა კი თა-  
ვისთან დაუტოვებია.

იეზდიგერდი კარგად გრძნობდა, რომ სამივე  
ქვეყნის: იბერიის, სომხეთის და ალბანიის დაპყ-  
რობა და დამორჩილება ერთბაშად ძნელი საქმე  
იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა თავდაპირველად  
დაეპყრო სომხეთი, რომელიც ტერიტორიალურად  
საზღვრავდა სპარსეთს. სომხეთის მოსახლეობის  
რიცხვისა და ქონების გამოსარკვევად იეზდიგერ-  
დმა სომხეთში თავისი მოხელეები გაგზავნა. ხალ-  
ხი აღწერეს და ორმაგი ხარკი შეაწერეს. შაპი სომ-  
ხეთის შინაურ საქმეებშიაც ერეოდა, მამასახლისად  
ამტკიცებდა იმას, ვინც ქრისტიანობას უარსპყოფ-  
და და იჩენდა ირანის ერთგულებას. ეკონომიურ-  
მა, უფლებრივმა და სარწმუნოებრივმა შევიწ-  
როებამ სომხები მოთმინებიდან გამოიყვანა და  
ისინი აჯანყდნენ. დაიწყო სომხებსა და სპარსელებს  
შორის სასტიკი ბრძოლა, რომელიც დამთავრდა

ირანის გამარჯვებით. სპარსელებშა დაიპყრეს სომები ხეთი, მოსპეს მეფობა და ამგვარად ის ირანს შეუერთდა.

ამის შემდეგ სპარსელები შეუდგნენ იბერიის დაპყრობის თაღარიგს, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლები ირანსა და ბიზანტიას<sup>1</sup> (საბერძნეთის) შორის იბერიის ტერიტორიაზე.

ამის გამო იბერიის პატარა სამეფოს დამოუკიდებელი არსებობა დიდ საფრთხეში იყო. აღმოსავლეთით მას უტევდა ირანი, დასავლეთის მხრიდან ბიზანტია, რომელმაც დაიჭირა აფხაზეთისა და

<sup>1</sup> ბიზანტია შეადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს და ქართულ საისტორიო წყაროებში იგი იხსენიება საბერძნეთად. თეოდოსი დიდის სიკვდილის შემდეგ (395 წლ.), რომის იმპერია აღმინისტრაციულად იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთში გამეფდა არკადი, დასავლეთში კი ჰიონორი.

ამ დროიდან აღმოსავლეთის ნაწილის ცენტრად თანდა-თანობით იქცა, ცველი ბიზანტია, დასავლეთისა კი რომი. VI საუკუნემდის აღმოსავლეთის ნაწილისთვის მიღებულია რომის სახელმწიფოს სახელწოდება. შემდეგი დროისათვის კი, როდესაც აღმოსავლეთის ნაწილში ლათინური ენა შესცვალა ბერძნულმა და იქ გაბატონდა ბერძნულ-აღმოსავლური კულტურა, ისტორიაში რომის ანუ რომელის ეს სახელმწიფო ცნობილია ბიზანტიის, იგივე საბერძნეთის სახელწოდებით. ბიზანტიის იმპერია არსებობდა 1453 წლამდის, როდესაც იგი დაიპყრეს თურქებმა და მის ნანგრევზე წარმოიქმნა ოსმანთა ანუ ოტომანთა იმპერია.

ეგრისის სანაპიროები. ჩრთილოეთიდანაც მას და დი საფრთხე მოელოდა, განსაკუთრებით მას შემ-დეგ, როდესაც დაიწყო თურქთა ტომების (ჰუნე-ბისა და ხაზარების) მოძრაობა. მათ მოწოლას ვერ უძლებდნენ იბერიის ჩრდილოეთის საზღვარზე მოსახლე ოსები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ გადმოელახათ დარიალის კარები, შემოიჭრნენ იბერიაში და მოსახლეობას არბევდნენ.

იბერიის სამეფოს ამ მძიმე პოლიტიკურ მდგო-  
მარეობას ზედ ერთოდა აგრეთვე სარწმუნოებრივ-  
იდერლოგიური ბრძოლა. გაქრისტიანებული იბე-  
რიის მოსახლეობას არ სურდა მიეღო მაზღეიანური  
რწმენა, რომელსაც ირანი ძალდატანებით ავრცე-  
ლებდა მოგვების დახმარებით.

ასეთ მძიმე და რთულ პოლიტიკურ პირობებში გარდაიცვალა იბერიის მეფე მირ დატი და 454 წელს სამეფო ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვა-  
ნი მემკვიდრე ვახტანგ I. ამ ჭაბუკი მეფის მოლ-  
ვაწეობა აღწერილი აქვს ისტორიკოს ჭუან-  
შერს, რომელიც აღტაცებულია ახალგაზ-  
რდას ვახტანგის გმირული ბრძოლებით, და  
იგი მას წარმოდგენილი ჰყავს უძლეველ დევ-  
გმირად. მართალია, ისტორიკოსის ეს ქებადიდება  
გადაჭარბებულია და ზოგ შემთხვევაში ზღაპრუ-

ლიც, მაგრამ მასში მოცემულია სინამდვილის ერთგვარი ანარეკლი.

მართლაც საჭირო იყო გმირობა და თავდაღება, რომ ახალგაზრდა მეფე ვახტანგს თავისი სამეფოს პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ინტერესები დაეცვა ისეთი ძლიერი დამპყრობელებისაგან, როგორიც იყვნენ ირანი და ბიზანტია.

ვახტანგი ამასთანავე იყო ფიზიკურადაც წარმოსადეგი და ძლიერი ვაჟკაცი. მას ჯუანშერი ასე ახასიათებს: „იგი იყო უმაღლეს ყოველთა კაცთა მის უამისათა, და უმშვენიერეს სახითა, და ძლიერი ძალითა. რამეთუ სიმაღლე იყო მისი ათორმეტი ბრჭყალი კაცისა, და იყო საზარელ, და გოლიათი, და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა, რომელ ჭურვილი ქვეით იჩემს მიეწიის, უპყრის რქა და დაიმჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღოს მხართა ზედა, მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა“—ო.

გამეფებისას ვახტანგი ისახავდა ასეთ პოლიტიკურ ამოცანებს: გაემაგრებინა სამეფოს ჩრდილოეთის საზღვარი და ქართლიდან გაედევნა მოთარეშე ოსები, რომლებიც ისე გაკაღნიერებულიყვნენ, რომ მათ გაეტაცნათ ტყველ ვახტანგის დაი მიჰრანდუხტ. მისივე მიზანს შეაღგენდა ქართლის გან-

თავისუფლება უცხოეთის (ირანისა და საბერძნებისათის) პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბატონობისაგან, მაზღეიანური რწმენის განდევნა და ქრისტიანობის განმტკიცება ქართლში.

ვახტანგ მეფე ჭერ კიდევ ათი წლისა ყოფილა, როდესაც ოსებმა გადმოლახეს ქართლის ჩრდილოეთის საზღვარი და დაიწყეს მოსახლეობის დარბევა: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა გარდმოვიდეს ოვსნი და მოტყვევნეს ქართლი, თავიდგან მტკვრისით ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრეს ველნი. ხოლო კასპისა ქალაქნი შემუსრნეს და ტყვე ყვნეს, და წამოიყვანეს ვახტანგის დაი მიჰრანდუხტ, ხამის წლის ქალი“-ო.

ამის გამო ახალგაზრდა მეფე იძულებული იყო ხმალი ეშიშვლა და პირველყოვლისა ტყვეობისა-გან დაეხსნა თავისი და; ბოლო მოეღო ოსების თარეშისათვის და ჩაეკეტა დარიალის კარები. მან ამ მიზნით მოიწვია ქართლის დიდებულები, გაიმართა ბჭობა, სადაც გადაწყდა გალაშქრება ოსეთზე და ამ ლაშქრობის სარდლობა იკისრა თვით ვახტანგმა. ამის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს:

„მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლი-სათა და დაჯდა საყდართა ზედა მილალთა. მაშინ

მეფემან ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენებან იწყო ზრახვად ხმითა მაღლითა და თქვა: ისმინეო ხმისა ჩემისა. დაღაცათუ ყრმა ვარ და არა გინა-ხავსთ ჩემგან კეთილი. აშ რომელსა გეტყვი თქვენ დაღაცათუ ჩემზედა და თქვენზედა მოწევნულ არა განსაცდელი ესე. არა დავითმინო კიცხვაი და ვი-ძიოთ შური მათზედა: უკეთუმცა წაგვკიდებოდა ესე სპარსთა მეფისაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მომცავითმინეთ. არამედ რაი მოწევნულ არს ჩვენზედა ოვსთა კაცთაგან, არა ხამს მისი დათ-მენაი, და სიკვდილი სჯობს თავთა ჩვენთათვის“-ო.

455 წლის ბოლოს სალაშქროდ გამზადებული ჯარი დაბანაკდა მუხრანის დიდ ველზე, არაგვის ორივე ნაპირას, საღაც ვახტანგმა დაათვალიერა ჯარის იარაღ-საჭურველი, წყობა და რაოდენობა. ვახტანგი აღტაცებაში მოსულა მოლაშქრეთა სი-მრავლით და მხნეობით. შემდეგ მან ჯარებს უბ-რძანა არაგვისა და თერგის ხეობით დარიალის ვიწროების გადალახვა. ეს მეტად ძნელი და სახი-ფათო გზა იყო. მით უმეტეს, რომ თერგის ვიწ-რო ხეობის ნაპირები ეჭირათ ოსებს, ყივჩაყებს და ხაზარებს, რომლებიც აქ იყვნენ ჩასაფრებულ-ნი და ქართველთა ლაშქარს უდარაჯებდნენ. მაგ-რამ ვახტანგის მრავალრიცხოვანმა ჯარმა ჩქარა

გადალახა დარიალის კარები და შეიქრა ოსეოშე  
მაშინ ოსებმა დახმარება სოხოვეს ხაზარებს და  
გაერთიანებული ოს-ხაზარების ლაშქარიც საბრ-  
ძოლველად გამოვიდა.

თერგის ვიწრო და სალიკლდიანი ხეობა არ აძ-  
ლევდა საშუალებას მდინარის ორივე ნაპირას  
დაბანაკებულ ჭარებს გადასულიყვნენ ერთმანე-  
თის შეტევაზე და ამის გამო შვიდი დღის ლო-  
დინის შემდეგ ორივე მოწინააღმდეგე მხარე შე-  
თანხმდნენ ბრძოლა დაეწყოთ ძველი ჩვეულების  
მიხედვით—ფალავანთა შებრძოლებით. ორივე ბა-  
ნაკიდან გამოიყვანეს ფალავნები. ოს-ხაზარების  
მხრიდან გამოვიდა კაცი გოლიათი, სახელით  
თარხან: „გამოვიდა ეს თარხან ხაზარი, ხმა-  
ჟყო ხმითა მაღლითა და თქვა: გეტყვით თქვენ  
ყოვლითა, სპათა ვახტანგისათა, ვინც არს  
თქვენ შორის უძლიერესი გამოვიდეს ჩემზედა“-ო.

მაშინ ვახტანგმა თავის ლაშქრიდან გამოიყვა-  
ნა ერთი გმირი, რომელსაც ერქვა ფარს მან-  
ფარუხ. მემატიანეს თქმით ამ ფარსმან ფა-  
რუხს „ლომი ხელითა შეეპყრა“-ო. ფარ-ხმლე-  
ბით შეიარაღებული ფალავნები დაეტაკნენ ერთ-  
მანეთს, გაჩაღდა ორთა ბრძოლა: „და პირველსავე  
შეკრებასა უხეთქნა ხრმლითა ფარსმან-ფარუხს

ჩაბალახსა ზედა და განუპო თავი ბეჭთამდე” - ო თავის ფალავნის დამარცხებამ მეტად შეაშფოთა მეფე ვახტანგი და მისი მხედრობა. მეფე ჩავარდა დიდ საგონებელში, მით უმეტეს მას არ ჰყავდა სხვა მისი შემცვლელი ფალავანი.

მეორე დილას კვლავ გამოვიდა თარხანი და ვახტანგისაგან მოითხოვდა ორთა ბრძოლისათვის ფალავანს, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე ჩაითვლებოდა დამარცხებულად. ასეთი განსაცდელის უამს ახალგაზრდა ვახტანგმა დიდი გმირობა გამოიჩინა და მან თავის ლაშქარს განუცხადა: „განვალ თვით ბრძოლად თარხანისა” - ო. წარჩინებულებმა მეფეს სთხოვეს ხელი აეღო ასეთ განზრახვაზე, მით უმეტეს რომ იგი იყო ბრძოლებში ჭერ კიდევ გამოუცდელი და ჰასაკითაც სრულიად ახალგაზრდა.

მაგრამ ვახტანგმა არ მიიღო მათი თხოვნა, უშიშრად შეჯდა ცხენზე; აისხა იარაღი და გავიდა თარხანთან საბრძოლველად. თარხანმა ვახტანგს რომ შეხედა თურმე სთქვა: „მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა ყმაწვილითა განა შენზედა დავიმდაბლო თავი ჩემი” - ო.

ახალგაზრდა ვახტანგი გმირულად ეკვეთა თარხანს და მას ჩქარა თავიც მოსჭრა: „მოჰკვეთა თა-

ვი თარხანს, აღჭდა და წარვიდა ლაშქართა  
ნა და ყოველთა სპათა შეასხეს ქებაი ვახ-  
ტანგს“-ო, ამბობს მემატიანე.

მეორე დღეს ოს-ხაზარებმა გამოიყვანეს სხვა  
ბუმბერაზი, იგი იყო ოსი და სახელად ერქვა  
ბიაყათარი. ოსეთში ბაყათარი ითვლებოდა  
უძლეველ გმირად და მოწინააღმდეგე ბანაკი  
დარწმუნებული იყო, რომ ახალგაზრდა ვახტანგს  
იგი ადვილად დაამარცხებდა. ვახტანგმა აისხა ია-  
რალი, შეჭდა თავის ცხენზე და გაემზადა საბრ-  
ძოლველად. ბაყათარი იდგა მდინარის გაღმა და  
მას არ სურდა გადმოსვლა. მაშინ ვახტანგმა შეუთ-  
ვალა მას: „არა გამოვალ მე მდინარესა, რამეთუ  
მეფე ვარ, ხოლო შენ მონაი ხარ: გამოვედ მდი-  
ნარესა, ჩემ კერძო“.

ჩქარა ბაყათარიც გადმოვიდა მდინარეზე, მას  
იქვე დახვდა შეიარაღებული მეფე და მათ შორის  
გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ჯერ ისრით იბრძოდ-  
ნენ, შემდეგ ხმლებით; ისრით დაიკოდა ვახტანგის  
ცხენი, მაგრამ სანამ ცხენი დაუცემოდა ვახტანგმა  
მხარი გაუპო ბაყათარს: „და უხეთჭნა ხრმლითა  
მხარსა ბაყათარისსა, და ჩაჰვეთა ვიდრე გულამ-  
დე“-ო.

მაშინ დამარცხებული ოს-ხაზართა ლაშქარი  
გიქცა, ვახტანგს ხელში ჩაუვარდა მრავალი  
ტყვები და დიდი ნადავლი. მეფის ლაშქარი  
შეიჭრა ოსეთში და მას დამორჩილდნენ მას მას და  
ყივჩაყები, პაჭანიგები, ჭიქები და ჩრდილოეთის  
დანარჩენი ტომებიც. გაამაგრა ჩრდილოეთის საზ-  
ღვარზე დარიალის კარი, რომლის მცველად დაა-  
ყენა მთიელები. ერთგულებისა და მორჩილების  
ნიშნად მათ ჩამოართვა მძევლები, ტყვეობისაგან  
დაიხსნა თავისი და მიჭრანდუხტ და გამარჯვე-  
ბული მეფე ქართლში დაბრუნდა.

ამის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს:

„ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი და  
შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ და-  
რიალისად უწოდთ და აღაშენა მას ზედა გო-  
დოლნი მაღალნი და დაადგინა მცველად მახ-  
ლობელნი იგი მთეულნი: და მოტყვენა ვახტანგ  
პაჭანიგეთი და ჭიგეთი და შეიქცა და გამოდგა  
ოვსეთსავე და მეფენი ოვსთანი შელტოლვილ  
იყუნეს სიმაგრეთა კავკასიისათა: აღდგეს მათ შო-  
რის მოციქულნი და დაიზავნეს და ითხოვეს ვახ-  
ტანგისაგან ოვსთა, ნაცვლად დისა მისისა ოცდა-  
ათი ათასი ტყვე ოვსეთისა და მისცა ვახტანგ

ტყვე დისა მისისათვის. და აიღო მძევალი ოვას  
თაგან“-ო.

ვახტანგის ამ გმირულ ლაშქრობაზე ხალხურ  
ზეპირსიტყვაობაშიაც საყურადღებო ცნობებია  
შემონახული. ოსეთში დღემდის ახსოვთ ოს-ბა-  
ყათარის შებრძოლება ვახტანგ მეფესთან.

„კავკასიონი დავიპყარ,  
ოთხს სამეფოს ხმალი ვკარი;  
ქართველს ბატონს და მოვსტაცე,  
არ დავაგდე ჩემი გვარი:  
მომწვდა, ფიცით მიღალატა  
მან დაიღვა ჩემი ბრალი,  
— ბაყათარ წყალსა მიეცა,  
აღიხოცა ოსთა ჯარი“-ო.

ასეთივე ამბავი თქმულების სახით დღემდის  
შემონახულა მოხევეებში, რომლებიც ცხოვრო-  
ბენ დარიალის ხეობაში და მათ ისტორიულ წარ-  
სულში მინდობილი ჰქონდათ დარიალის სიმაგ-  
რეების დაცვა. დარიალის ეს ვიწრო გასასვლე-  
ლი გზა უძველეს დროიდან იყო ცნობილი. აქე-  
დან გადადიოდა ჩრდილოეთის გზა, დღეს საქარ-  
თველოს სამხედრო გზად წოდებული. ამ გზას  
განსაკუთრებული პოლიტიკურ - სტრატეგიული

მნიშვნელობა ეძლეოდა ქართლის სამეფოსათვის, რომლის სატახტო ქალაქი — მცხეთა მდებარეობდა არაგვ-მტკვრის გზავარედინზე, და არაგვის ეს ვიწრო გზა დარიალის კარით იყო ჩაკეტილი.

ქართლის სამეფოსათვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო დარიალის კარის დაცვა და შენარჩუნება მით უმეტეს, რომ ეს ხეობა კავკასიონის მაღალ ქედებით მოწყვეტილია საქართველოს ბუნებრივ საზღვარს და მოქცეულია კავკასიონის ჩრდილოეთის ფარგლებში. დარიალის ამ კარებით საქართველოს ეტანებოდნენ ჩრდილოეთის ველებზე მობინადრე ტომები: ალანები (ოსები), ხაზარები, პაჭანიგები და სხვა. მისი ისტორიული სახელწოდება დარიალი ან „დარი-ალან“ ნიშნავს კარი ალანთა (ოსთა) და ქართველებიც მას უწოდებდნენ „კარი ოვსეთისაი“. მტრის შემოსევის წინააღმდეგ საჭირო იყო დარიალის ვიწრო გასასვლელი გზის ციხე-კოშკებით ჩაკეტვა და ერთგული მცველების დაყენება, როგორიც იყვნენ მოხევეები, განსაკუთრებით სოფ. გერგეტის მცხოვრებლებს ჰქონიათ ქართლის მეფისავან დავალებული დარიალის კარის დარაჯობა.

გერგეტელებს დღესაც ახსოვთ ვახტანგ გორგასლანის გამოლაშქრების ამბავი დარიალის კარის დასაცავად. ხალხურ თქმულებით თათრის ჯარის ერთ მეთაურს ხოჯას გამოულაშქრია და დაუჭერია დარიალის სიმაგრე. მას ჩარგას (ჩერქეზ) ბატონის ქალი შეურთავს და დარიალში მოუყვანია. ხოჯა ჩარგასში თურმე ხნავდა, პურს ანანურში ფქვავდა და ცხენის ჯოგს კი თრიალეთში აძოვებდაო. ხოჯა ისე გაძლიერებულა, რომ მას მთელ საქართველოს დაპყრობა განუზრახავს. მაგრამ როდესაც ვახტანგ გორგასლანი 16 წლისა გამხდარა, მას გამოულაშქრია ამ ხოჯას წინააღმდეგ და დაბანაკებულა სოფ. სტეფანწმინდაში. მეფეს ბრძანება გაუცია, რომ ხევის თითოეულ სოფლიდან ორორი კაცი მოეყვანათ. ხალხი შეყრილა. მეფეს ხევის უფროსისათვის გაუზიარებია თავისი განზრახვა და უთხოვია დახმარება: მაშინ წარმომდგარა ერთი მოხუცი—თადო შვილი და მეფისათვის მოუხსენებია: მეფეო, პირდაპირ შეტევით ძლიერ ხოჯას ვერ დაამარცხებ და ვერც დარიალის ციხეს აიღებ, თუ არა ხერხითაო. ხოჯა პატივსა სცემს გერგეტელების წმ. სამების ნინოს ჯვარს. ხოჯას დღესასწაული მოახლოებულია, მაშინ მობრძანდით, გერგეტე-

ლებს უბრძანე ჭვრის გამოსვენება, რომ ხოჯას  
მიულოცონ დღეობა და ჩვენც ყველანი წამოგ-  
ყვებით და გზას გიჩვენებთო.

მეფეც ასე მოქცეულა. ხოჯას დღეობაზე გერ-  
გეტელები თავიანთი ჭვარ-ხატებით წამოსულან,  
მეფე კი ჭარებით სტეფანწმინდიდან დარიალი-  
საკენ დაძრულა. მეფის ჭარი მოსულა ლამე და  
დაბანაკებულა ციხის მახლობლად.

გათენებისას გერგეტელებმა ჭვრები და დრო-  
შები ააუღარუნეს თურმე და დაიმღერეს. ციხის  
ყარაულებმა ხოჯას მოახსენეს, რომ დღეობის  
მოსალოცავად გერგეტელები გეახლენო. ხოჯა  
თავის ამალით ციხიდან გამოსულა და თაყვანი  
უცია გერგეტელების ჭვარ-ხატებისათვის. ამით  
უსარგებლია იქვე მახლობლად ჩასაფრებულ მე-  
ფის ჭარს, შეპარულა ციხეში და დაუჭერია ყვე-  
ლა სიმაგრეები. ხოჯას მადლობა გადაუხდია გერ-  
გეტელებისათვის და იგი ციხისაკენ გამობრუნე-  
ბულა, მაგრამ ციხიდან ვახტანგის ჭარს მისთვის  
ისრები დაუშენია და ხოჯა და მისი ჭარი ამოუ-  
ხოცია. მეფემ ხელთ იგდო ხოჯას ქონება და და-  
რიალის ციხეო. გამარჯვებულ მეფეს გერგეტე-  
ლები დაუსაჩუქრებია. თაღოშვილისათვის ვახ-  
ტანგს ყაი და ყანანაზი (ადგილის სოფ. კარკუ-

ჩაში) უჩუქებია და ამასთანავე უთქვამს: „ქალა უთხოვარი და სიფრო (სუფრა) უწევარი ჰქონ-დესო“.. ე. ი. საცოლეზე უარის თქმა და სუფ-რაზე თქვენი დაუწვევლობა არავის არ შეეძ-ლოს, ყველგან ისე მიგიღონ, როგორც მე ვახ-ტანგ გორგასლანიო.

შემდეგ მეფეს მოხევეებისათვის ჩაუბარებია დარიალის ციხე და ჭარი. გადაუცია აგრეთვე ორი დროშა: ერთი დროშა მოხევეებს აღუმართავთ ლარსთან, მეორე ხდეში, გვირგვალაის წვერზე. ამასთანავე ვახტანგ მეფეს მოხევეებისათვის უთ-ქვამს: ექვს-ექვსმა კაცმა დარიალში იყარაულეთ და ხდე თქვენთვის მიჩუქებიაო.

ამგვარი მეღვარი ბრძოლის შემდეგ ვახტანგ-მა შესძლო ჩრდილოეთში მობინადრე ტომების დამორჩილება და დარიალის კარების გამაგრება.

ამის შემდეგ მისი საზრუნავი საქმე იყო საქარ-თველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების დაც-ვა საბერძნეთის აგრესიისაგან. რომის კეისრებმა მედგარ ბრძოლების შემდეგ შესძლეს საქართვე-ლოს დასავლეთი ნაწილის — ლაზიკის ხელში ჩაგდება. მაგრამ აღმოს. რომის სახელმწიფო ეხ-ლა ამით არ კმაყოფილდებოდა და იგი განაგრ-ძობდა შემოტევას სამხრეთის საზღვარზე. რო-

გორც მემატიანე ჭუანშერი მოგვითხრობს, ბერ-  
ძნები ახლა სცდილობდნენ კლარჯეთის, ოძრხის  
და წუნდის საერისთაოების დაპყრობას. ეს გა-  
რემოება საფრთხეს უმზადებდა ქართლის სამე-  
ფოს ნაციონალურ-პოლიტიკურ მთლიანობას და  
მისი დამოუკიდებელ არსებობას. ამის გამო ვახ-  
ტანგი ახლა იძულებული იყო შესდგომოდა სამ-  
ზადისს ბერძნების წინააღმდეგ გასალაშერებლად.

ამ მიზნით ვახტანგმა შეკრიბა ლაშქარი და  
გაემართა კარნუ-ქალაქისაკენ, რომელიც მდება-  
რეობდა საბერძნეთ-საქართველოს საზღვარზე.  
ბერძნების ჭარს მეთაურობდა სპასპეტი პალეკა-  
რტოს, რომელიც შეებრძოლა მეფე ვახტანგს.  
მედგარი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ვახტანგმა  
და დამარცხებული ბერძენთა ლაშქარი გაიქცა. ამ  
გამარჯვების შესახებ მემატიანე მოგვითხრობს:  
„და მიტევა პირის-პირ (ვახტანგ), დასცა ხრმლი-  
თა ჩაბალახსა ზედა (პალეკარტოს). და განაპო თა-  
ვი მისი ვიდრე ბეჭთამდე: და მიყო ხელი დაუკ-  
ყრა თავისა მისისა ნახევარი. და მიტევნეს სპარა  
ვახტანგისნი სპათა ბერძენთასა და აოტნეს იგი-  
ნი“-ო.

ბიზანტიის კეისარი ლეონ (457 — 473 წ.) იძუ-  
ლებული იყო ზავი შეეკრა ვახტანგთან და მის-

თვის დაებრუნებინა ძალით წართმეული ადგინდები.

„ხოლო ვიდრე მოსვლამდე მოციქულთა ფრიად მწუხარე იყო კეისარი და მოუწოდა ვახტანგს და ყვეს ურთიერთს აღთქმა და ფიცი და განაგეს საქმე წინდობისაი. და უკუნ-სცა კეისარმან საზღვარი ქართლისანი. ციხე თუხარისისა და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანამდე და ხევნა რომელნი მოსდგანან ღადოთა: და გამოიკითა კეისარმა საზღვარი საბერძნეოსა, ქვეყანაი ზღვა-სა პირსა, რომელ არსს აფხაზეთი. და დაუწერა ეგ-რის-წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანაი და სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“-ო.

საბერძნეთთან ზავის დადებისა და მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ ვახტანგისათვის აქტუალური მნიშვნელობა ეძლეოდა ქართლის განთავისუფლებას ირანის ბატონობისაგან. ეს მისთვის იყო ყველაზე მძიმე და ღიღი ამოცანა, რაც მოითხოვდა მოხერხებულ დროის შერჩევასთან მეტ მომზადებასაც.

ამ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად პირველ-ყოვლისა საჭირო იყო შინაური მშვიდობიანობის განმტკიცება, სამეფოს მოღონიერება ეკონომიუ-

რად და სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური სიმტკიცე. ასეთი განზრახვით ვახტანგი შეუდგა წეს-წყობილების დამყარებას ქართლის სამეფოში, ციხეების განახლებას, ქალაქებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობას. ქართველი მემატიანე ვახტანგ გორგასლანს მიაწერს თბილისის აშენებას: „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა თბილისსა და საფუძველი ოდენ დაედვა“-ო.

ამის შესახებ არსებობს ლამაზი ლეგენდაც, რომელიც მოვცითხრობს, რომ ერთხელ ვახტანგ გორგასლანი წასულა სანაღიროდ. ნაღირობის დროს მეფეს მიმინო მიუშვია ხოხობზე და ორივენი ღრმა ხევში ჩავარდნილან. მდევრები ჩასულან ხევში და იქ ცხელ-წყალში მოხარშული მიმინო და ხოხობი უპოვიათ. მეფეს ეს წყალი (გოგირდოვანი) უცვნია სასარგებლოდ და უთქვამს: აქ გაშენდეს ქალაქი და თბილი წყლის გამო მას ეწოდოს „თბილისი“-ო.

ვახტანგ მეფის დროიდან თბილისი თანდათანობით იზრდებოდა. მოსახლეობა თავდაპირველად აქ ჩნდება თბილი წყაროების უბანში, შემდეგ კი მოსახლეობა იზრდებოდა მტკვრის ხეობის გასწვრივ დასავლეთის, მიმართულებით, დღე-

ვანდელ სიონისა და ანჩისხატის მიღამოში. აქ-  
ვე იყო მაგარი ციხე „კალაი“ (ნარიყალა). ვაჭ-  
რობა-წარმოება ვითარდებოდა, ხელოსნობაც საკ-  
მაოდ დაწინაურდა და თბილის-მცხეთაში სხვა-  
დასხვა დარგის ხელოსნები მუშაობდნენ. შემოჰ-  
ქონდათ უცხოეთის საქონელი, სხვათა შორის  
ძვირფასი ქსოვილი „პალეკარტად“ წოდებული  
შემოდიოდა ანტიოქიიდან.

ვახტანგ მეფე ცდილობდა ქართლის სამეფოს,  
როგორც ქრისტიან ქვეყანას კულტურულ-სარ-  
წმუნოებრივი ურთიერთობა და კავშირი ჰქონოდა  
ბიზანტიასთან, საიდანაც შემოდიოდა მწერლობა,  
ხელოვნება და სალვთისმეტყველო მოძღვრება.  
ბიზანტიასთან დაახლოვებამ ხელი შეუწყო ქარ-  
თული კულტურის წარმოქმნას და განვითარებას,  
განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველებმა  
შეჰქმნეს საკუთარი დამწერლობა. ვახტანგის მე-  
ფობაში სწარმოებდა დიდი თარგმნითი მუშაობა  
ბერძნულიდან ქართულ ენაზე, განსაკუთრებით  
წმინდანთა ცხოვრებისა და საეკლესიო წიგნების.  
ქართულმა დამწერლობამ ამ პერიოდში მიაღწია  
განვითარების საკმაო მაღალ დონეს, რასაც მოწ-  
მობენ ქართულ ენაზე დაწერილი ორიგინალური  
თხზულება იაკობ ხუცესისა „წამებაი წმ.

შუშანიქის დედფოლისაი“ და აგრეთვე მცხეთის  
ჯვრის საყდრისა და ბოლნისის ასომთავრული  
წარწერები.

აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) ეკლე-  
სია თავდაპირველად ემორჩილებოდა ანტიოქიას  
ეკლესიას და საქართველოს კათალიკოსები იქურ-  
თხებოდნენ ანტიოქიაში. მირონსაც იქიდან იღებ-  
დნენ და ამის გამო საქართველოს სამეფო ან-  
ტიოქიის პატრიარქს მირონის საფასურში ყო-  
ველ წლიურად უგზავნიდა 1000 კომლიდან მი-  
ღებულ შემოსავალს.

ვახტანგ მეფე ახლა შეეცადა საქართველოს  
ეკლესიისათვის მოეპოვებინა დამოუკიდებლობა,  
რასაც ეძლეოდა უაღრესი პოლიტიკურ-საზოგა-  
დოებრივი მნიშვნელობა. ვახტანგმა შესძლო აშეს  
განხორციელებაც. 472—484 წ-ში დამოუკიდებ-  
ლობა მოიპოვა ქართულმა ეკლესიამ, დაწესდა  
კათალიკოსობა, რომელიც ითვლებოდა დამოუ-  
კიდებელ ეკლესიის საჭედმპყრობელად.

ამგვარად ვახტანგმა გმირული და თავდადე-  
ბული ბრძოლებით მოკლე ხნის განმავლობაში  
შესძლო ქართლის სამეფოს საგარეო და საშინაო  
მდგომარეობის გაუმჯობესება. მან გაამაგრა ქარ-  
თლის სამეფოს ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზ-

ლვრები, მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ბიზანტიისთან. სამეფოს საშინაო წესწყობილების დამყარებასთან მან საფუძველი განუმტკიცა ქრისტიანულ რწმენასა და იდეოლოგიას.

ვახტანგ მეფის გაძლიერება არ მოსწონდა ირანის შაჰს, რომლის მფარველობაში ითვლებოდა ქართლის სამეფო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვახტანგმა აშკარად აღიარა ქრისტიანული მოძღვრების უპირატესობა და ამის შემდეგ იგი გარკვევით იდგა ერთმორწმნე რომ-საბერძნეთის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ორიენტაციაზე. ვახტანგის ასეთი პოლიტიკა ნიშნავდა აშკარად განდგომას ირანისაგან, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა ირანის მბრძანებლებს. მაგრამ ირანის შაჰი ამ დროს ჰუნებს ებრძოდა და ამის გამო იგი ჯერ თავს იკავებდა ქართლში გამოლაშქრებაზე. ამ დაძაბულ ურთიერთობას ამწვავებდა აგრეთვე ცეცხლის თაყვანისმცემელთა სასულიერო წოდება, რომელსაც საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდა შაჰთან და მას სთხოვდა გამოელაშქრა ქართლზე, მოესპონ ქრისტიანობა და აღედგინა ცეცხლის თაყვანისცემა. ამის გამო ვახტანგმა ცეცხლის მსახური-მოგვები ყველგან განდევნა და

შეათი ადგილ-სამლოცველოები შემუსრა, რამაც  
მოთმინებიდან გამოიყვანა ირანის შაპი პერო-  
ზი (458 — 484 წ.) და იგი დიდი ჭარბთ წამოვიდა  
ქართლისაკენ.

ვახტანგი მაშინვე შეუდგა მტრის დასახვედ-  
რად სამზადისს. მან დახმარება სთხოვა სომხებს  
და მოციქულები გაუგზავნა აღმოს. რომის (სა-  
ხერძნეთის) კეიისარს ლეონს, რომ გამოევზავნა  
მაშველი ჭარი. მაგრამ ელჩებმა სატახტო ქალაქ-  
ში ლეონს ვერ მოუსწრეს; ის ჰუნებთან საომ-  
რად წასულიყო. ამავე დროს ირანის ჭარმა გად-  
მოლახა სომხეთი და შემოიჭრა ქართლში, სადაც  
მტერს მოუხდა დიდ წმინააღმდეგობათა დაძლევა.  
ვახტანგ მეფის მთავარი ლაშქარი დაბანაკებუ-  
ლიყო მცხეთის მახლობლად და აქ არაგვ-მტკვრის  
მიდამოში გაიმართა სასტიკი ბრძოლა.

ვახტანგის მეთაურობით ქართველი ლაშქარი  
გმირულად ებრძოდა მტერს. შეიარაღებულ მე-  
ფეს თავზე ეხურა ჩაბალახი (მუზარადი), რო-  
მელსაც წინ გამოსახული ჰქონია მგელი და უკან  
ლომი. რომელ მხარეს გაუჭირდებოდა თურმე  
ლაშქარს, მეფეც იქით მიმართავდა თავის მახ-  
ვილს და ამით გამხნევებული ლაშქარი თავგან-

წირვით იბრძოდათ. ამის შესახებ მემატიანე აქა  
მოგვითხრობს:

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქ-  
როსა და გამოესვა წინათ მგელი და უკანათ ლო-  
მი. და რომელსა კერძოსა იძლეოდიან ჭართველ-  
ნი, მუნითცა მიჰმართის და მოსრის სპისა მისგან  
სპარსეთისა ვითარცა ლომან კანჯარი: მიერითგან  
ვერდა-რა შეუძლებდეს სპარსი წყობად მისა, და  
ისწავლეს იგი რომელსა ეწერა მგელი და ლომი,  
და ვითაცა იხილიან ვახტანგ და თქვიან „დურ აზ  
გორგასალ“ რომელ არს ესე. „მიჰრიდეთ თავსა  
მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მე-  
ფესა გორგასალ“-ო.

ბრძოლა გაგრძელდა ორი თვე, მაგრამ ირანე-  
ლებმა ვერ შესძლეს გამარჯვების მოპოვება. ჩქა-  
რა ვახტანგს მოუვიდა აღმ. რომის (საბერძნეთის)  
კეისრისაგან გამოგზავნილი ჭარიც და ამ გარე-  
მოებამ აიძულა პეროზი ზავი შეეკრა ვახტანგთან  
იმ პირობით, რომ მას ჭართლში ხელახლად აღედ-  
გინა ცეცხლის თაყვანისცემა. მაგრამ მან ეს წი-  
ნადადება არ მიიღო, დარჩა ქრისტიანული მოძ-  
ღვრების ერთგული და საბერძნეთის კეისრის  
დახმარებით შესძლო შეენარჩუნებინა სამეფოს  
დამოუკიდებლობა და ქრისტიანული რწმენა.

ეს გარემოება არ ასვენებდა ირანის შაჰს. მან კარგად იცოდა, რომ ვახტანგს ამ შემთხვევაში ეხმარებოდა საბერძნეთის კეისარი, რომელიც იყო ირანის დაუძინებელი მტერი და ვახტანგის ერთგული მოკავშირე.

„აღდგეს სპარსი ქრისტიანეთა ზედა... რამე-  
თუ დიდი იყო მტრობაი ქრისტიანეთა ზედა და  
უფროსად ბერძენთა მიმართ. ხოლო ჩვენ ქარ-  
თველთა მიმართ ამისათვის, რამეთუ ეძვინებო-  
და ჩვენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერ-  
თობაი. ეს იყო ნებათ მათი, რათა ჩვენცა მათ-  
თანა მტერ ვეჯმნეთ ბერძენთა“-ო., ამბობს მე-  
მატიანე.

ქართლის პიტიახშად ამ დროს იყო ირანის შა-  
ჰის მიერ დანიშნული ვასქენი არ შუ შას — დე, რომელიც შაჰს ერთგულად ემსახურებო-  
და და ამ ვასქენის დახმარებით შაჰი ახლა ცდი-  
ლობდა ქართლის ხელში ჩაგდებას. შაჰის ჩაგო-  
ნებით ვასქენი განუდგა ქრისტიანობას და მიიღო  
მაზდეიანური რწმენა. ამის შემდეგ ვასქენი აი-  
ძულებდა თავის სელქვეითებს მიეღოთ მაზდეა-  
ნობა და ვინც ურჩობას გაბედავდა სასტიკად ის-  
ჯებოდა. ვასქენმა სხვათა შორას თავისი საკუთა-  
რი მეუღლე შუშანიკიც არ დაინდო, რე ჩაგდეს

ამ ვასქენის საშუალებით ირანი ახლა ქართლ-  
ში აწარმოებდა აშკარად აგრესიულ პოლიტიკას;  
რაც საფრთხეს უმზადებდა ქართლის დამოუკი-  
დებელ არსებობას. ამის გამო ვახტანგ გორგას-  
ლანმა გადაწყვიტა ვასქენის თავიდან მოშორება  
და 484 წელს იგი მოაკვლევინა. ეს ირანის წი-  
ნააღმდეგ აშკარა ამბოხებას მოასწავებდა და ვახ-  
ტანგიც შეუდგა საომარ სამზადისს.

მაგრამ ირანის ჯარი ისე მოულოდნელად შე-  
მოესია ქართლს, რომ ვახტანგმა ვერ მოასწრო  
მათი შეკავება და მან დახმარება სოხოვა სომხე-  
თა დიდებულებს. ვახტანგი ურჩევდა სომხებს  
გაერთიანებული ძალით თავი დაეღწიათ ირანის  
ბატონობისაგან. ვახტანგს ამასთანავე იმედი ჰქონ-  
და ჰუნების დახმარებაზე და როდესაც ეს მოლო-  
დინი არ გაუმართლდა, მაშინ ქართველებმა და  
სომხებმა გადასწყვიტეს ირანელებთან შებრძო-  
ლება.

სომხეთის მხედრობას მეთაურობდა ვაჰან  
მამიკონიანი. ბრძოლის დაწყებამდის სომ-  
ხების ჯარიდან ზოგიერთები გადავიდნენ ირანე-  
ლების ბანაკში და გასცეს მოკავშირეთა საიდუმ-

ლეობა. ირანელებთან ბრძოლაში სომხები და მარცხლნენ და დამორჩილდნენ ირანის შაპს. ვახტანგმა თავისი ჯარით დაიხია და დაღგა კახეთში. ჩქარა აქ შემოვიდა შაპი კობალის (488-532 წ.) ჯარი და დაბანკდა იორზე. ირანის შიშით ქართლის დიდებულებიც გადაუდგნენ მეფეს და მიემხრენ შაპს. მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეაშინა ვახტანგ მეფე და იგი გმირულად შეებრძოლა მტერს მდ. იორზე, სადაც ბრძოლა გამდელდა სამი დღე. ორივე მებრძოლ ბანაკიდან დაიხოცნენ დიდიალი მოლაშქრენი. მიუხედავად ამისა ვახტანგი უშიშრად განაგრძობდა მტერზე შეტევას. ის პირადი მაგალითით ამხნევებდა მებრძოლებს და მოუწოდებდა მათ გამოეტანათ მტრის მოკვეთილი თავები: „ყოველი კაცი რომელი დარჩეს სიკვდილისაგან და მტერთა ჩვენთაგანისა თავი ანუ ხელი არ გამოიტანოს, სიკვდილითა მოკვდეს იგი ჩვენ მიერ“-ო.

ისტორიკოსი ჯუან შერის სიტყვით ვახტანგი ძლიერი რაზმით მოულოდნელად თავს დაესხა ირანელების ბანაქს და თვით კოვალის კარავამდის ისეთი სისწრაფით შეიჭრა, რომ შაპის შვილმა ვერც კი მოასწრო გაქცევა და იგი ვახ-

ტანგმა იქვე მოჰკლაო. მაგრამ ამ დროს მტრის  
ისარი მეფეს შიგ მკერდში მოხვედრია:

„დაესხა ვახტანგ სპარსთა ზედა და შევლო  
ვიდრე პალატამდე მეფისასა და მეფე შეესწრა  
ცხენსა ზედა და ძე მისი ბარტამ მოჰკლა და მოჰ-  
კვეთა თავი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა  
ისარი მკერდსა ვახტანგისსა,,,-ო. ამბობს მემატია-  
ნე. მაგრამ ეს სპარსი, როგორც მემატიანე მოგ-  
ვითხრობს, მტრის მიერ მოსყიდული ვახტანგ მე-  
ფის მონა-სპა უნდა ყოფილიყო, შინაური მოღა-  
ლატე და გამცემი. აბგროსან მეფეს მტრის ისა-  
რი ვერაფერს დააკლებდა, მხოლოდ მისმა მონა-  
სპამ იცოდა თურმე, რომ მეფის აბგარს იღლიას-  
თან ჰქონდა ნახევი და იქ ჰქრა ისარი:

„მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-  
ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი  
ჯაჭვისა იღლიასა ქვეშე: და აღიპყრა რა ხმალი თვი-  
სი (ვახტანგ მეფემ), რათა სცეს კაცია სპარსთა-  
განს, მონამან ბოროტმან ჰქრა ისარი იღლიასა  
ქვეშე და მით მოიკლა“,-ო.

მიუხედავად ამისა მძიმედ დაკოდილი მეფე  
შუადღემდის გმირულად განაგრძობდა მტერთან  
ბრძოლას და თუმცა ირანელები რიცხვით სჭარ-  
ბობდნენ, მაგრამ ირანელები მაინც დამარც-

ხდნენ და დაიხიეს რუსთავისაკენ. გამარჯვებულ მეფეს დარჩა მდიდარი ნადავლი. ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო, რაღანაც მეფის წყლული სასიკვდილო აღმოჩნდა: „რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად“-ო. მეფე წაიყვანეს უჯარმაში, სადაც მან მოიწვია წარჩინებულები და ანდერძად დაუტოვა მტერთან განეგრძოთ ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, არ გაეწყვიტათ ერთმორწმუნე ბიზანტიასთან კავშირი და მტკიცედ დაეცვათ ქრისტიანობა მაზდეიანობის წინაამდეგ:

„თქვენ მკვიდრნო ქართლისანო, მოიხსენეთ კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩვენისა მიერ მოიღეთ ნათელი საუკუნო და მე ხორცილებრითა დიდებითა გადიდე თქვენ ნათესავთა ჩემთა: და სახლსა ჩემსა ნუ შერაცხ ჰყოფთ თქვენ, და სიყვარულისა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“-ო.

502 წელს ვახტანგი გარდაიცვალა და იგი დასაფლავეს მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში: „მოკვდა ვახტანგ და დაეფლა მცხეთას, საკათალიკოზოსა სვეტსა თანა და ზედ საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ასაკისა მისი-

სა: აწ რომელ არს აბჯარი და სამოსელი მისნი  
მისგან უფრო საცნაურ არს"-ო.

ამგვარად საქართველოს სამეცნის პოლიტიკურ  
დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძო-  
ლი ვახტანგ გორგასლანი შინაგამცემლობისა და  
ღალატის მსხვერპლი შეიქმნა და იგი გმირულად  
დაეცა ბრძოლის ველზე. ამის გამო მადლიერმა  
ქართველმა ხალხმა მისი ხსოვნა დღემდის შე-  
მოინახა, ხოლო მისი გმირული მოღვაწეობის შე-  
სახებ შექმნა ლეგენდები და ოქმულებები და  
ამით მას სამართლიანად განუმტკიცა გოლიათუ-  
რი უძლეველობის „გორგასლანი“-ს სახელწო-  
დება.

პ/მ რედაქტორი პროფ. ს. კაკაბაძე

შეკვეთის № 1324

უ 7320

ტირაჟი 3000

სტამბა გ-ბა „ზარია გოსტოკა“-სი რუსთაველის, გამზ. № 36.

შპს 3 816.

31/152

С. И. Макалатия  
Вахтанг Горгаслан  
(На груз. яз.)

---

Грузинское Краеведческое О-во  
Гор. Тбилиси.